შპს „რკინიგზის ტელეკომის“ მაგისტრალურ/ძირითად („trunk“) ქსელთან დაშვების შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა)

წინამდებარე „მაგისტრალურ/ძირითად („trunk“) ქსელთან დაშვების შეთავაზების წინადადებით“ (შემდგომში „**მოწვევის ოფერტა**“) განსაზღვრულია შპს „რკინიგზის ტელეკომის“ (შემდგომში „**ოფერენტი**“) მიერ მაგისტრალურ/ძირითად („trunk“) ქსელთან დაშვების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება მაგისტრალურ/ძირითად („trunk“) ქსელთან დაშვების მსურველი ყველა ავტორიზებული პირის მიმართ (შემდგომში „**აქცეპტანტი**“ ან „**მეორე მხარე**“).

ტექნიკური შესაძლებლობის და თავისუფალი რესურსის არსებობის შემთხვევაში ოფერენტი უზრუნველყოფს აქცეპტანტის დაშვებას მაგისტრალურ/ძირითად („trunk“) ქსელთან შემდეგი არსებითი პირობებით:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1.1. წინამდებარე **მოწვევის ოფერტაში** გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. **აქცეპტის დოკუმენტაცია** - 2.2 მუხლში მითითებული დოკუმენტები, რომლებიც **აქცეპტანტმა** უნდა წარუდგინოს **ოფერენტს** დაშვების პროცედურის ინიცირების მიზნით;

1.1.2. **აქცეპტის ფორმა** - **აქცეპტანტის** მიერ **მოწვევის ოფერტის** შესაბამისად შევსებული N3 დანართი, რომელიც **ოფერენტს** ეგზავნება დასადასტურებლად **მოწვევის ოფერტაში** მითითებული პირობების შესაბამისად;

1.1.3. **მომსახურების ხელშეკრულება** - **ოფერენტს** და **აქცეპტანტს** შორის **მოწვევის ოფერტაზე** აქცეპტის გაკეთების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულება მაგისტრალურ/ძირითად („trunk”) ქსელთან დაშვების მომსახურების შესახებ.

1.2. წინამდებარე **მოწვევის ოფერტაში** გამოყენებული სხვა ტერმინების მნიშვნელობა განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 2. დაშვებასთან დაკავშირებული დათქმები, დაშვების წინაპირობები და პროცედურები

2.1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის N671/9 გადაწყვეტილების (2019 წლის 18 აპრილის N235/19 გადაწყვეტილების საფუძველზე შეტანილი ცვლილებებით) შესაბამისად **ოფერენტი** უზრუნველყოფს **მეორე მხარის** მაგისტრალურ/ძირითად („trunk”) ქსელთან დაშვებას წინამდებარე მოწვევის ოფერტის N1 დანართში მითითებულ მიმართულებებზე/მარშრუტებზე შესაბამისი ტექნიკური შესაძლებლობის და თავისუფალი რესურსის არსებობის შემთხვევაში.

2.2. დაშვების პროცედურის ინიცირებისათვის აუცილებელი წინაპირობაა, რომ **აქცეპტანტს** არ ჰქონდეს **ოფერენტის** მიმართ შეუსრულებელი რაიმე სახის ფულადი ვალდებულება და, რომ **აქცეპტანტმა ოფერენტს** წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები („**აქცეპტის დოკუმენტაცია**“):

2.2.1. ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად **აქცეპტანტის** მიერ მოპოვებული ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

2.2.2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან **აქცეპტანტის** შესახებ;

2.2.3. **აქცეპტანტის** უფლებამოსილი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

2.2.4. **აქცეპტანტის** უფლებამოსილი წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალი ან დამოწმებული ასლი, იმ შემთხვევაში თუ **აქცეპტანტს** წარმოადგენს პირი, რომელიც არ არის მითითებული 2,2,2 პუნქტში მითითებულ ამონაწერში;

2.2.5. **აქცეპტანტის** უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი და შევსებული **აქცეპტის ფორმა**.

2.3. **აქცეპტის დოკუმენტაცია აქცეპტანტმა** უნდა გააგზავნოს წერილობითი ფორმით, ფოსტით **ოფერენტის** რეგისტრირებულ მისამართზე ან/და ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: tamar.kalandadze@grt.ge. იმ **აქცეპტანტს**, რომელმაც პირველად წარადგინა **აქცეპტის დეოკუმენტაცია**, რომელიც აკმაყოფილებს **მოწვევის ოფერტით** დადგენილ პირობებს, ენიჭება უპირატესობა სხვა განაცხადებთან მიმართებაში.

2.4. **აქცეპტის დოკუმენტაციის** წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტით მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში **ოფერენტი** შეისწავლის მათ შესაბამისობას ზემოთ მითითებულ მოთხოვნებთან.

2.5. იმ შემთხვევაში, თუ **აქცეპტის დოკუმენტაცია** არ აკმაყოფილებს წინამდებარე მუხლის მოთხოვნებს ან **აქცეპტანტს** გააჩნია შეუსრულებლი ფულადი ვალდებულებები **ოფერენტის** მიმართ, ან **ოფერენტს** არ გააჩნია **აქცეპტის ფორმით** მოთხოვნილი მომსახურების გასაწევად თავისუფალი რესურსი, მაშინ **ოფერენტი** დაუბრუნებს **აქცეპტანტს აქცეპტის დოკუმენტაციას** და ჩაითვლება, რომ აქცეპტი არ გაკეთებულა და, შესაბამისად, **ოფერენტს** არ აქვს ვალდებულება უზრუნველყოს **აქცეპტანტის** დაშვება მაგისტრალურ/ძირითად „trunk“) ქსელთან.

2.6. იმ შემთხვევაში, თუ **აქცეპტის დოკუმენტაცია** აკმაყოფილებს წინამდებარე მუხლის მოთხოვნებს, **აქცეპტანტს** არ გააჩნია შეუსრულებელი ფულადი ვალდებულებები **ოფერენტის** მიმართ და **ოფერენტს** აქვს შესაბამისი რესურსი მომსახურების გასაწევად, მაშინ

ოფერენტი აქცეპის დოკუმენტაციის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღის ვადაში უგზავნის **მეორე მხარეს** მაგისტრალურ/ძირითად („trunk”) ქსელთან დაშვების მომსახურების ხელშეკრულების („**მომსახურების ხელშეკრულება**“) სამ ეგზემპლარს, რომელთაგან თითოეული მოიცავს **ოფერენტის** უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერას. ასეთ შემთხვევაში **აქცეპტანტი** ვალდებულია 4 (ოთხი) დღის ვადაში დაუბრუნოს **ოფერენტს აქცეპტანტის** უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი **მომსახურების ხელშეკრულების** ორი ეგზემპლარი. დათქმულ ვადაში **აქცეპტანტის** მიერ **მომსახურების ხელშეკრულების** სათანადო ფორმით **ოფერენტისთვის** წარუდგენლობის შემთხვევაში ჩაითვლება, რომ **აქცეპტანტი** უარს ამბობს წინამდებარე **მოწვევის ოფერტით ოფერენტის** მიერ შეთავაზებულ მომსახურებაზე და, რომ **აქცეპტანტსა** და **ოფერენტს** შორის არ წარმოიშობა შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობა.

2.7. **მომსახურების ხელშეკრულება** ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 1 (ერთი) წლის ვადით.

2.8. **მომსახურების ხელშეკრულების** საფუძველზე **ოფერენტის** მიერ **აქცეპტანტისათვის** მომსახურების გაწევა დაიწყება აღნიშნული ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, იმ პირობით, რომ მოცემულ ვადაში **აქცეპტანტი** დააკმაყოფილებს **მომსახურების ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ტექნიკურ მოთხოვნებს.

2.9. **მომსახურების ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში ნებისმიერ დროს, იმ პირობით, რომ მოცემული მომენტისათვის **აქცეპტანტს** შესრულებული აქვს **ოფერენტის** მიმართ ყველა ფულადი ვალდებულება, **აქცეპტანტი** უფლებამოსილია მოითხოვოს **მომსახურებისთვის** დამატებითი სიმძლავრის გამოყოფა. ასეთი წერილობითი მოთხოვნის მიღების შემდეგ, იმ შემთხვევაში თუ **ოფერენტს** აქვს შესაბამისი რესურსი, **ოფერენტი** და **აქცეპტანტი** გააფორმებენ შესაბამის ცვლილებას **მომსახურების ხელშეკრულებაში**. **აქცეპტანტის** მოთხოვნის გაგზავნა, განხილვა და დადასტურება, ხოლო შემდგომ **ოფერენტის** მიერ **აქცეპტანტისათვის** ცვლილებების პროექტის გაგზავნა და გაფორმება ხდება ამ მუხლით განსაზღვრული პირობებისა და ვადების ანალოგიურად.

2.10. **მომსახურების ხელშეკრულების** მოქმედება შეიძლება შეწყდეს შემდეგი საფუძვლებით:

2.10.1. მხარეთა შეთანხმება;

2.10.2. მოქმედების ვადის გასვლა;

2.10.3. ერთ-ერთი მხარის მიერ **მოწვევის ოფერტის** ან **მომსახურების ხელშეკრულების** პირობების სისტემატური დარღვევა ან არაჯეროვანი შესრულება, თუ ამგვარი დარღვევა არ აღმოიფხვრა დამრღვევი მხარის მიერ მეორე მხარისაგან წერილობითი შეტყობინებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

2.10.4. ერთ-ერთი მხარის ლიკვიდაცია;

2.10.5. ერთ-ერთი მხარის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყება;

2.10.6. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა საფუძვლები.

მუხლი 3. მომსახურების ტექნიკური საკითხები

3.1. **მომსახურების** მისაღებად **აქცეპტანტი** ვალდებულია საკუთარი ძალისხმევითა, სახსრებით და რისკით უზრუნველყოს მიერთება **განაცხადში** მითითებულ შესაბამისი მონაკვეთის დაშვების წერტილზე.

3.2. დაშვების პროცედურების დასრულების შემდეგ 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში მხარეებმა უნდა განხორციელონ აქცეპტანტისთვის გამოყოფილი რესურსების ფიზიკური პარამეტრების ტესტირება, რომელიც გულისხმობს რესურსების მახასიათებლების მოთხოვნილ პარამეტრებთან შესაბამისობის დადგენას („**ტესტირება**"). ტესტირებას უნდა ესწრებოდნენ ორივე მხარის წარმომადგენლები. ტესტირების დასრულების შემდეგ მხარეებმა უნდა გააფორმონ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც ასახავენ ტესტირების შედეგებს.

3.3. **ოფერენტი** ვალდებულია აღმოფხვრას საკუთარი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის დაზიანება, რომელიც აფერხებს **აქცეპტანტის** მიერ **მომსახურების ხელშეკრულების** საფუძველზე მომსახურების მიღებას, გონივრულ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადებს.

მუხლი 4. ექსტრაორდინარულ, ფორსმაჟორულ შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები და მხარეთა ურთიერთვალდებულებები

4.1. მხარეთა პასუხისმგებლობა არ დგება დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია **მოწვევის ოფერტითა** და **მომსახურების ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

4.2. „დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ **მომსახურების ხელშეკრულების** გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ წინასწარ განეჭვრიტათ, ან თავიდან აეცილებინათ. ამგვარი გარემოებები შემოფარგლულია წყალდიდობით, ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური მოვლენებით, აგრეთვე ომით, სამხედრო ოპერაციებით, გაფიცვებით, ამბოხებებით, ხელისუფლების მიერ მიღებული დადგენილებებით ან განხორციელებული ქმედებებით ან მსგავსი ხასიათის სხვა გარემოებებით ან ქმედებებით. თუ ნებისმიერმა ზემოთნახსენებმა გარემოებამ უშუალოდ იმოქმედა მხარეთა

მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროის თანაბარზომიერად გაიზრდება.

4.3. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან, აცნობოს მეორე მხარეს.

4.4. შეუტყობინებლობისა და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში შესაბამისი მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს. მხარე ვალდებულია დაადასტუროს შეტყობინებაში მითითებული ფაქტები.

4.5. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 15 (თხუთმეტი) დღეზე მეტხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ **მომსახურების ხელშეკრულების** მოქმედების შეწყვეტის საკითხი.

მუხლი 5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. **აქცეპტანტისათვის ოფერენტის** მიერ გაწეული **მომსახურების** საფასური (**„მომსახურების საფასური**“) გამოიანგარიშება N2 დანართში მითითებული ტარიფების შესაბამისად.

5.2. **ოფერენტი** უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს **მოწვევის ოფერტით** განსაზღვრული ტარიფები რა შემთხვევაშიც, **ოფერენტი** ვალდებულია 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე აცნობოს **მეორე მხარეს** ტარიფების ცვლილების შესახებ და შეცვალოს **მომსახურების ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ტარიფები.

5.3. მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს ყოველთვიურად წინასწარი გადახდის წესით უნაღდო ანგარიშსწორების გზით. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება ყოველი საანგარიშო პერიოდის, კალენდარული თვის 14 (თოთხმეტი) რიცხვამდე, **ოფერენტის** მიერ **მეორე მხარისთვის** წარდგენილი ინვოისის საფუძველზე სრული მოცულობით.

5.4. ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში **ოფერენტი** უფლებამოსილია ვალდებულების დარღვევის დღიდან დაარიცხოს **აქცეპტანტს**, ხოლო **აქცეპტანტი** ვალდებულია გადაუხადოს **ოფერენტს** პირგასამტეხლო, გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ორაზროვნებისა და გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მხარეები თანხმდებიან, რომ გადახდილი თანხები პირველ რიგში მოხმარდება დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობის დაფარვას და მეორე რიგში - ძირითადი დავალიანების დაფარვას.

მუხლი 6. მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადა

6.1. წინამდებარე **მოწვევის ოფერტა** ძალაში შედის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან და მოქმედებს 3 (სამი) წლის ვადით.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. მხარეთა შორის შეტყობინება განხორციელებულად მიიჩნევა მისი წერილობითი ფორმით შესრულებისა და უფლებამოსილი პირის დამოწმების შემთხვევაში. შეტყობინება მხარეებს უნდა მიეწოდოთ კურიერული ფოსტის, დაზღვეული წერილის, ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით **მომსახურების ხელშეკრულებაში** მითითებულ მისამართებზე. მხარე ვალდებულია 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში აცნობოს მეორე მხარეს საკონტაქტო მონაცემების ცვლილების შესახებ.

7.2. ერთ-ერთი მხარის მიერ **მოწვევის ოფერტით** ან **მომსახურების ხელშეკრულებით** გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ასეთი უფლების უარყოფას ან ასეთ უფლებაზე საბოლოოდ უარის თქმას.

7.3. **ოფერენტსა** და **მეორე მხარეს** შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს შორის დავა წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი N1

მაგისტრალურ/ძირითად (“trunk”) ქსელთან დაშვების მომსახურების მიმართულებები/მარშრუტები

1. თბილისი-კასპი
2. ქობულეთი-ოზურგეთი
3. ზესტაფონი-საჩხერე

მაგისტრალურ/ძირითად (“trunk”) ქსელთან დაშვების მომსახურების, გაწევას უზრუნველყოფს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის N671/9 გადაწყვეტილების (2019 წლის 18 აპრილის N235/19 გადაწყვეტილების საფუძველზე შეტანილი ცვლილებებით) დადგენილება, სერვისის მიწოდების ხარისხის გაწსაზღვრისა და შემოწმების წესების დამტკიცების თაობაზე“, შესაბამისად შემდეგი პარამეტრებით:

ჯიტერი (მილიწამი)	≤ 4
დაყოვნება (მილიწამი)	≤ 10
დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი (%)	1%-მდე
ხარვეზის დაფიქსირების, რეგისტრაციის, კვალიფიკაციისა და პრიორიტეტიზაციის წესები (მათ შორის კრიტიკული, მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი კატეგორიებისთვის);	
ხარვეზის დაფიქსირება, ელექტრონულ ფოსტაზე	David Tsertsvadze <admin@grt.ge>, Teimuraz Giorgadze <teimuraz.giorgadze@grt.ge>
ხარვეზის დაფიქსირების შემდგომ, მომხმარებელს მიეწოდება ინფორმაცია პრობლემის აღმოფხვრის დროის მონაკვეთსა და შესაძლებლობის შესახებ, არაუგვიანეს წერილის მიღებიდან 1 საათის პერიოდში.	
24/7 ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფის პირობები და ხარვეზების ესკალაციისთვის საჭირო პროცედურები;	
24/7 ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა	+995568882803

სატელეფონო ზარით სერვისის წყვეტის დაფიქსირება, ტექნიკური სამსახურის მიერ ესკალაციის დაწყება.**24/7 ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფის პირობები და ხარვეზების ესკალაციის პროცედურები**

მომწოდებელი უზრუნველყოფს ტექნიკური მხარდაჭერის სერვისის უწყვეტ ხელმისაწვდომობას (24 საათი, კვირაში 7 დღე), მათ შორის ინციდენტების რეგისტრაციას, დიაგნოსტიკას, რეაგირებასა და აღმოფხვრას შეთანხმებული მომსახურების დონის შესაბამისად.

ხარვეზების მართვის პროცესი მოიცავს:

- ინციდენტის დაფიქსირებასა და რეგისტრაციას (ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან სპეციალური მხარდაჭერის პორტალის მეშვეობით);
- ინციდენტის კატეგორიზაციასა და პრიორიტეტის განსაზღვრას მისი კრიტიკულობისა და ბიზნესზე ზემოქმედების მიხედვით;
- პირველადი რეაგირების უზრუნველყოფას შეთანხმებული ვადების ფარგლებში;
- ხარვეზის დიაგნოსტიკასა და აღმოფხვრას;
- საჭიროების შემთხვევაში ინციდენტის ესკალაციას შესაბამისი ტექნიკური ან მენეჯერული დონის სპეციალისტებთან;
- მომხმარებლისთვის ხარვეზის სტატუსისა და პროგრესის შესახებ პერიოდულ ინფორმირებას;
- ხარვეზის სრულად აღმოფხვრის შემდეგ ინციდენტის დახურვასა და შესაბამისი ანგარიშის მომზადებას.

1. პირველი დონის ტექნიკური მხარდაჭერა (L1) – ინციდენტის მიღება, რეგისტრაცია და საწყისი დიაგნოსტიკა.
2. მეორე დონის ტექნიკური მხარდაჭერა (L2) – სიღრმისეული ანალიზი და ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტა.
3. მესამე დონის ტექნიკური მხარდაჭერა (L3) – სისტემის მწარმოებლის ან სპეციალიზებული ინჟინრების ჩართულობა რთული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.
4. მენეჯერული ესკალაცია – კრიტიკული ინციდენტების ან შეთანხმებული ვადების გადაცილების შემთხვევაში პროცესში ერთვება პასუხისმგებელი მენეჯმენტი ოპერატიული გადაწყვეტილებების მისაღებად.

ყველა ინციდენტი მუშავდება განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო მისი მიმდინარეობა სრულად აღირიცხება და დოკუმენტირდება.

დაგეგმილი ტექნიკური სამუშაოების შესახებ წინასწარი შეტყობინების ვადები და პირობები
დაგეგმილი ტექნიკური სამუშაოების შესახებ კლიენტებს ეცნობებათ არანაკლებ **5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე**. შეტყობინება მოიცავს სამუშაოების ჩატარების თარიღს, სავარაუდო ხანგრძლივობას, მიზანსა და მომსახურებაზე შესაძლო გავლენის შესახებ ინფორმაციას. ძირითად შემთხვევაში, დაგეგმილი ტექნიკური სამუშაოები ხორციელდება სარეზერვო ინფრასტრუქტურის გამოყენებით, რათა მომსახურების უწყვეტობა მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი. იმ შემთხვევაში, თუ სარეზერვო ინფრასტრუქტურის გამოყენება შეუძლებელია, სამუშაოები ტარდება ღამის საათებში, მომსახურებაზე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

დანართი N2

შპს „რკინიგზის ტელეკომის“ მაგისტრალურ/ძირითად („trunk”) ქსელთან დაშვების ტარიფები

მომსახურების სახე	**განზომილებები**	**ყოველთვიური საფასური ლარში, დღგ-ს გარეშე**
მონაცემთა ტრანსპორტირება	1 (ერთი) მეგაბიტ/წმ	0.50

დანართი N3

მოწვევის ოფერტაზე აქცეპტის ფორმა

1. აქცეპტანტის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: _____

   აქცეპტანტის საფირმო სახელწოდება: _____

   აქცეპტანტის იურიდიული მისამართი: _____

   აქცეპტანტის საიდენტიფიკაციო კოდი: _____

   აქცეპტანტის წარმომადგენელი: _____

   (პოზიცია, სახელი და გვარი) _____

2. **აქცეპტანტის** მიერ მოთხოვნილი მაგისტრალურ/ძირითად („trunk“) ქსელთან დაშვების მომსახურება:

მონაკვეთები/მარშრუტები:

_____

მოცულობა:

_____

3. აქცეპტანტის საკონტაქტო ინფორმაცია:

საკონტაქტო პირ(ებ)ის სახელი და გვარი	საკონტაქტო პირის პოზიცია	ელ. ფოსტის მისამართი	ტელეფონის ნომერი

4. შენიშვნა

_____

წინამდებარე **აქცეპტის ფორმაზე** ხელმოწერით **აქცეპტანტი** ადასტურებს, რომ იგი სრულად გაეცნო, ეთანხმება და უპირობოდ შეასრულებს **მოწვევის ოფერტის** ყველა და ნებისმიერ პირობას

_____ [ხელმოწერა]

_____202__ წლის _____

[აქცეპტანტის უფლებამოსილი წარმომადგენლის პოზიცია და სახელი და გვარი სრულად]